„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი"

ბრძანება

31.03.2015 № 8/02

[სტუდენტთა 83-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შესახებ]

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა 83-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის დებულება (დანართი №1);
2. კონფერენციის ორგანიზება დაევალოს სტუ-ს სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტს;
3. დაევალოთ ფაკულტეტების დეკანებს და დეპარტამენტის უფროსებს კონფერენციის დებულებით განსაზღვრული მოვალეობების ზედმიწევნით შესრულება;
4. ბრძანება და მისი დანართი (კონფერენციის დებულება) განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და გამოიკრას ფაკულტეტებზე თითოეულ დეპარტამენტში თვალსაჩინო ადგილას.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზები:

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ქ. ქოქრაშვილი

რექტორის მოადგილე
მეცნიერების დარგში
ზ. გასიტაშვილი

სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის
დეპარტამენტის უფროსი
გ. კულდონაშვილი

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
ბ. მაისურაძე

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სტუდენტთა 83-ე დია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შესახებ

1. კონფერენციის ჩატარების ფორმა:

1.1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა 83-ე დია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე მონაწილეობის უფლება აქვთ როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სწავლების საფეხურის სტუდენტებს;

1.2. კონფერენციაში მონაწილეობის მსურველი სტუდენტი ვალდებულია, გაიაროს რეგისტრაცია წინამდებარე დებულების 2.1. პუნქტის დაცვით და რეგისტრაციისას წარადგინოს საკუთარი ნაშრომის ქართულ- და ინგლისურენოვანი თეზისი (ერთი ამობეჭდილი და ერთი ელექტრონული (CD დისკზე ჩაწერილი) ვერსია) ამ დებულების დანართის (თეზისის ტექნიკური გაფორმების ინსტრუქცია) მოთხოვნათა სრული დაცვით;

1.3. კონფერენციაში მონაწილე სტუდენტი ვალდებულია, ნაშრომის ერთი ეგზემპლიარი წარადგინოს შესაბამის დეპარტამენტში (სექციაში) 2015 წლის 20 მაისამდე;

1.4. კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ერთმა ხელმძღვანელმა არ შეიძლება მოამზადოს ხუთ სტუდენტზე მეტი;

1.5. ჟიურის წევრი, რომელიც ამავდროულად არის თემის ხელმძღვანელი, არ ახდენს აღნიშნული ნაშრომის შეფასებას; ამ შეფასების ნაცვლად ნაშრომს მიეცემა ჟიურის დანარჩენი წევრების ჯამური შეფასების საშუალო არითმეტიკული;

1.6. ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის კონკურსი ტარდება ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად; შესაბამისად, კონფერენციაში გამარჯვებული სტუდენტები გამოვლინდებიან ჟიურის მიერ (თითოეულ სექციაზე ცალ-ცალკე სწავლების საფეხურების მიხედვით);

1.7. ჟიურის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს მინიმუმ 5 წევრი (მათ შორის ჟიურის თავმჯდომარე) და ერთი სტუდენტი, რომელსაც აქვს დამსწრის და არა შემფასებლის სტატუსი;

1.8. სტუდენტის მიერ საკუთარი ნაშრომის წარმოდგენისა და ჟიურის წევრებთან კითხვა-პასუხის დრო განისაზღვრება მაქსიმუმ 15-15 წუთით;
ჟიურის მიერ ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებია:

1) ნაშრომის აქტუალურობა;
2) ნაშრომში დასმული საკითხის ავტორისეული გადაწყვეტა და დასკვნების დასაბუთება;
3) დისკუსია ჟიურის წევრთან;
4) მომხსენებლის გადმოცემის უნარი.

1.9. თითოეულ კრიტერიუმში მაქსიმალური შეფასება არის 10 ქულა. საბოლოო შედეგი გამოითვლება თითოეული კრიტერიუმის ქულათა ჯამური რაოდენობით. ერთნაირი ქულების შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი სექციის ჟიური ხმათა უმრავლესობით;

1.10. კონფერენციის თითოეულ სექციაში გამარჯვებული ნაშრომის რაოდენობა არ შეიძლება იყოს სამზე მეტი – ერთი I, ერთი II, ერთი III ადგილი (გამარჯვებულთა გამოვლენა ხდება სწავლების საფეხურების მიხედვით 1.6. პუნქტის შესაბამისად);

1.11. სექციის ხელმძღვანელი ვალდებულია, სექციის მუშაობის ანგარიში (ოქმი, დანართები და დანართების ელექტრონული ვერსია) წარმოადგინოს სტუ-ს სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტში სექციის მუშაობის დასრულებიდან 5 დღის ვადაში.

2. კონფერენციაში მონაწილეობასთან დაკავშიებული ძირითადი თარიღები

2.1. კონფერენციაში მონაწილეობის მსურველ სტუდენტთა რეგისტრაცია და თეზისების მიღება იწარმოებს 2015 წლის 15 აპრილიდან 15 მაისის ჩათვლით სტუ-ს სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტში (სტუ-ს ადმინისტრაციული კორპუსი, II სართული, ოთახი №242ბ)

2.2. კონფერენცია გაიხსნება 2014 წლის 25 მაისს 16:00 საათზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის სხდომათა დარბაზში

2.3. კონფერენციის სექციების მუშაობა გაიმართება 2014 წლის 27 მაისიდან 27 ივნისის ჩათვლით

3. კონფერენციის სამუშაო სექციები

სამშენებლო ფაკულტეტი

1. საინჟინრო მექანიკისა და მშენებლობის ტექნიკური ექსპერტიზის სექცია
2. სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის სექცია
3. სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ტექნოლოგიისა და საშენი მასალების სექცია
4. ჰიდროინჟინერიის სექცია
5. წყალმომარაგების, წყალარინების, თბოაირმომარაგებისა და შენობათა საინჟინრო აღჭურვის სექცია
6. მშენებლობის კომპიუტერული დაპროექტების სექცია
7. მშენებლობის ეკონომიკისა და მენეჯმენტის სექცია

ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი

8. თბო- და ჰიდროენერგეტიკის სექცია
9. საწარმოო ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის სექცია
10. ელექტროენერგეტიკისა და ელექტრომექანიკის სექცია
11. ელექტროენერგეტიკისა და ელექტრონიკის სექცია
12. ელექტრომოხმარების ტექნოლოგიების სექცია
13. რადიოტექნიკისა და მაუწყებლობის სექცია
14. ტელეკომუნიკაციის სექცია

სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი

15. საინჟინრო გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის სექცია
16. გამოყენებითი გეოლოგიის სექცია
17. ნავთობისა და გაზის ტექნოლოგიების სექცია
18. შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სექცია
19. სამთო ტექნოლოგიების სექცია

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი

20. ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების სექცია
21. მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ლითონების დამუშავების სექცია
22. ფარმაციის სექცია

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

23. საწარმოო ტექნოლოგიური მანქანებისა და მექატრონიკის სექცია
24. მექანიკის ინჟინერიის საწარმოო ტექნოლოგიების სექცია
25. პოლიგრაფიისა და მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიების სექცია
26. საინჟინრო გრაფიკისა და ტექნიკური მექანიკის სექცია
27. კვების ინდუსტრიის სექცია
28. სატყეო-ტექნიკური სექცია
29. ლოჯისტიკის სექცია

30. ტრანსპორტისა და მანქანათმშენებლობის მენეჯმენტის სექცია
31. საავტომობილო ტრანსპორტის სექცია
32. სარკინიგზო ტრანსპორტის სექცია
33. საზღვაო და სპეციალური ტექნოლოგიური ტრანსპორტის სექცია

სამშენებლო და სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტთაშორისი

34. საგზაო სექცია

არქიტექტურის, ურბანიოსტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

35. არქიტექტურისა და ურბანისტიკის სექცია
36. დიზაინისა და არქიტექტურათმცოდნეობის სექცია
37. არქიტექტურის საფუძვლების სექცია

ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი

38. სოციალური მეცნიერებების სექცია
39. ბიზნეს ადმინისტრირების სექცია
40. საინჟინრო ეკონომიკის სექცია
41. სამართლის სექცია
42. საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის სექცია
43. საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების სექცია
44. ლიბერალურ მეცნიერებათა სექცია
45. ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების სექცია
46. თეოლოგიის სექცია

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

47. კომპიუტერული ინჟინერიის სექცია
48. ინფორმატიკის სექცია
49. ინტერდისციპლინური ინფორმატიკის სექცია
50. ეკონომიკური ინფორმატიკის სექცია
51. მართვის ავტომატიზირებული სისტემების (პროგრამული ინჟინერიის) სექცია
52. მართვის სისტემების სექცია
53. ბიოსამედიცინო ინჟინერიის სექცია
54. გამოთვლითი მათემატიკის სექცია
55. ხელოვნური ინტელექტის სექცია
56. საინჟინრო ფიზიკის სექცია
57. მათემატიკის სექცია
58. ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციისა და მართვის სისტემების სექცია
59. მიკროპროცესორული და საზომი სისტემების სექცია

აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი

60. სასურსათო ტექნოლოგიის სექცია
61. სატყეო საქმის სექცია
62. აგრონომია
63. აგრარული ტექნოლოგიების სექცია
64. წყლის და ნიადაგის რესურსების ინჟინერინგის სექცია

დიზაინის საერთაშორისო სკოლა

65. დიზაინის სექცია

4. კონფერენციის ორგანიზება და მართვა

4.1. კონფერენციის მომზადებას და ჩატარებას უზრუნველყოფს სტუ-ს სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტი სტუ-ს სტუდენტურ თვითმმართველობასთან ერთად;
აღნიშნულ დეპარტამენტს კონფერენციის ორგანიზებასთან დაკავშირებით ეკისრება შემდეგი ფუნქციები:

ა) ფაკულტეტების დეკანატებთან და შესაბამის დეპარტამენტებთან ერთად ამტკიცებს კონფერენციის სექციების ჟიურის შემადგენლობას;
ბ) ახორციელებს მონიტორინგს კონფერენციის მიმდინარეობაზე;
გ) ორგანიზებას უწევს კონფერენციაში მონაწილე სტუდენტების თეზისების კრებულის გამოცემას, კონფერენციაში მონაწილე სტუდენტებისათვის სერტიფიკატების, ხოლო გამარჯვებული სტუდენტებისათვის – დიპლომების დამზადებას;
დ) კონფერენციის მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით უზრუნველყოფს სხვა საჭირო სამუშაოების შესრულებას.

4.2. ფაკულტეტის დეკანები და დეპარტამენტების ხელმძღვანელები ატარებენ ყველა საჭირო მოსამზადებელ სამუშაოს კონფერენციის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის:
ფაკულტეტის დეკანები უზრუნველყოფენ თითოეულ დეპარტამენტში (სექციაში) ერთი პასუხისმგებელი პირის გამოყოფას, რომელიც უზრუნველყოფს:

ა) ამ დებულების 1.3. პუნქტის მიხედვით სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების მიღებას;
ბ) კონფერენციის სხდომის ოქმისა და ოქმის დანართების ელექტრონული ვერსიების წარდგენას სტუ-ს სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტში.

დეპარტამენტები, თემის მოსამზადებლად შესაბამისი მითითებების მიცემის მიზნით უზრუნველყოფენ მიმართულებების მიხედვით ლექტორების მიმაგრებას იმ სტუდენტებზე, რომლებიც გამოთქვამენ კონფერენციაში მონაწილეობის სურვილს.

5. კონფერენციასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები

სამეცნიერო კონფერენციასთან დაკავშირებით განხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები:

1. გამოიცემა შრომების თეზისების კრებული, რომელშიც დაიბეჭდება კონფერენციაში მონაწილე თითოეული სტუდენტის ნაშრომის ქართულ- და ინგლისურენოვანი თეზისები (კრებულში დაიბეჭდება მხოლოდ ამ დებულების მოთხოვნათა სრული დაცვით წარმოდგენილი თეზისები);
2. კონფერენციაში მონაწილე გამარჯვებულ სტუდენტებს გადაეცემათ I, II და III ხარისხის დიპლომები;
3. კონფერენციაში მონაწილე სტუდენტებს, რომლებიც ვერ დაიკავებენ ვერცერთ საპრიზო ადგილს, გადაეცემათ სერთიფიკატი;
4. დოქტორანტურის მიმართულებით თითოეულ სექციაში გამარჯვებულ (I ადგილზე გასულ) თემაზე დამზადდება კვლევის საპრეზენტაციო ვიდეო-რგოლი.

დებულების დანართი - **თეზისის ტექნიკური გაფორმების ინსტრუქცია**

ნაშრომის სათაური	
სტუდენტი	**სახელი, გვარი**
	უნივერსიტეტი
	ფაკ-ტი, სწავლ. საფეხური *(ბაკ-ტი, მაგ-რა, დოქტ-რა)*, **კურსი**
ხელმძღვანელი	**სახელი, გვარი**
	აკადემიური ხარიხსი, აკადემიური თანამდებობა

თეზისის ტექსტი ქართულ ენაზე (არაუმეტეს 15 სტრიქონისა).

Title of an article	
Student	**Name, Surname**
	University
	Faculty, Study Level (Bachelor, Master, PhD), Course
Head	**Name, Surname**
	Academic Degree, Academic Position

Text of the Summury in English Language (not more then 15 lines).

ტექსტის ზომა - 12 pt; ტექსტის ფონტი - Sylfaen
ზედა საზღვარი - 3 სმ.
ქვედა საზღვარი - 2 სმ.
მარჯვენა საზღვარი - 2 სმ.
მარცხენა საზღვარი - 2.5 სმ.